ხელშეკრულება №2

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 23

ქ. ნინოწმინდა 19 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სოფელ განძის #2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სარკის დურგარიანის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „სარკის ვარტაპეტიან" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სარკის ვარტაპეტიანის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: 5 ცალი ფეხბურთის ბურთი ერთეულის ღირებულება 45 ლარი, 2 ცალი კალათბურთის ბურთი ერთეულის ღირებულება 55 ლარი, 15 კომპლეტი ფეხბურთელის ფორმა ერთეულის ღირებულება 50 ლარი, (CPV კოდი: 37400000).

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1085 ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და სასაქონლო ზედნადებით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება სდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს გაყიდვის ადგილზე ხელშეკრულების დადებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მისედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ისოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ისოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმშემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტი სმომენტისთვის კადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარეფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია

დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის
დასრულების შესახებ. წინააღმდეგშემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდებაფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე

მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინე ბაძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი11. გადასახადები და დაბეგვრა

11. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ი/მ „სარკის ვარტაპეტიან“	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სოფელ განძის #2
მისამართი: ქ.ნინოწმინდა, სოფელი დიდი ხანჩალი	საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 32001006821	მისამართი: ქ.ნინოწმინდა, ს.განძა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	საიდენტიფიკაციო კოდი: 236689080
საბანკო კოდი: LBRTGE22	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ანგარ. ანგარიში: GE69LB0112171709490000	საბანკო კოდი: LBRTGE22
	ანგარ. ანგარიში: GE05LB0121112523586000
დირექტორი	დირექტორი
სარკის ვარტაპეტიან	სარკის დურგარიან

აქტი

მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. ნინოწმინდა 19 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ,ერთის მხრივ სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სოფელ განძის #2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის სარკის დურგარიანის სახით (შემდგომში შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ ი/მ „სარკის ვარტაპეტიან" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სარკის ვარტაპეტიანის სახით, ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 19 დეკემბერის N 2 გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველმა ჩაიბარა 1085 ლარის ღირებულების საქონელი.

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ი/მ „სარკის ვარტაპეტიან"	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სოფელ განძის #2
მისამართი: ქ.ნინოწმინდა, სოფელი დიდი სანჩალი	საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 32001006821	მისამართი: ქ.ნინოწმინდა, ს.განძა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"	საიდენტიფიკაციო კოდი: 236689080
საბანკო კოდი: LBRTGE22	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ანგარ. ანგარიში: GE69LB0112171709490000	საბანკო კოდი: LBRTGE22
	ანგარ. ანგარიში: GE05LB0121112523586000
დირექტორი	დირექტორი
სარკის ვარტაპეტიან	სარკის დურგარიან